ᲛᲝᲚᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲘᲠᲔᲑᲘᲗᲘ

ᲙᲐᲠᲚᲘᲥᲢᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥ. Კ. Კ. (Ბ) ᲪᲙᲣ. ᲓᲐ ᲡᲠᲮ. ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥ. ᲪᲐᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡᲔᲑᲘ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—38—17, სამდივნისა—10—58, მო. კონტროლის—8—81.

კვირა, 16 ოქტომბერი 1932 წ. № 241 (3459)

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲑᲠᲘᲕ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ — ᲛᲔᲣᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ

საქართველოს მძიმე და მსუბუქმა მრეწველობამ მიმდინარე წლის განვლილი თვეების განმავლობაში მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვა გასული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით; გაიზარდა პროდუქციის გამოშვება, წლის პირველ ნახევარში მძიმე მრეწველობამ მოგვცა 39 პროც. ძეტი პროდუქცია, ვიდრე 1931 წლის პირველ ნახევარში. მსუბუქ მრეწველობაში. რვა თვის განმავლობაში, გასული წლის ასეთივე პერიოდთან შედარებით, პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 10,8 პრ. მაგრამ ზოგიერთი დარგების განვითარების ტემპები ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი და ვერ უზრუნველყოფს ხუთწლედის დაპატიჟებელი წლის საგეგმო დავალებათა შესრულებას. განსაკუთრებით უნდა ითქვას ეს ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ, რომელთა დარგში საგრძნობი გაჭიანურებია.

მე-17 პარტკონფერენციის ხაზი გაუსვა ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ბრძოლის გაძლიერების საჭიროებას 1932 წლის საწარმოო საფინანსო გეგმების შესრულების საქმეში „მრეწველობის მთელს შემდგომ განვითარებას საფუძვლად უნდა დაედვას შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა, რაც სავსებით შესაძლებელია ახალი მანქანების და აპარატურის შემოღების გამო. მიმდინარე წელს მრეწველობის ყველა შინაგან რესურსების და ყველა ფურულ შესაძლებლობათა მობილიზაციის მწვავე საჭიროება ტეხნიკური რეკონსტრუქციის უდიდეს ამოცანათა საფუძველზე (მათ რიცხვში მრეწველობის სწორი გეოგრაფიული განაწილების და მონათესავე წარმოებათა ტეხნიკური კომბინირების ამოცანა), მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას ხარისხობრივ მაჩვენებლებისადმი, როგორც ეკონომიურ (თვითღირებულება, შრომის ნაყოფიერება და სხვ.), ისე ტეხნიკურ მაჩვენებლებისადმი, რომლებიც მათ მატერიალურ საფუძველს შეადგენენ (მანქანების და აგრეგატების სიმძლავრის სათანადოთ გამოყენება, ღუმელების გამოყენების სათანადო კოეფიციენტები, ტეხნოლოგიური პროცესების სათანადო სიზუსტე და სხვ.").

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ საქართველოს მრეწველობის მუშაობას, უნდა ვსთქვათ, რომ ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ არ სდგას ყურადღების ცენტრში. თუ ავიღებთ მრეწველობის მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ხარისხობრივ მაჩვენებელს — შრომის ნაყოფიერებას, იგი თუმცა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 1931 წლის სათანადო პერიოდთან შედარებით გაიზარდა 9,8 პროც. მაგრამ საგეგმო დავალებებს მაინც საგრძნობლად ჩამორჩება. 1932 წლ. პირველ ექვს თვეში გეგმიანი დავალება მუშის ყოველდღიური გამომუშავების დარგში შესრულებულია 95,5 პროც. 31,74 მან. ნაცვლად მუშის ყოველდღიური გამომუშავება უდრის 30,32 მანეთს.

შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლის შეუსრულებლობა აიხსნება სა საწარმოების დაუტვირთობით, გაცდენებით, შრომის დისციპლინის დაცვით, შრომის ორგანიზაციის დეფექტებით.

თუ გადავხედავთ ეხლა შრომის ხელფასის მდგომარეობას, დავინახავთ, რომ იგი არ შეეფარდება შრომის ნაყოფიერებას მაშინ, როდესაც მძიმე მრეწველობაში დავალება შრომის ნაყოფიერების დარგში შესრულდა 95,5 პროც., დავალება ხელფასის დარგში 8,7 პროც. გადაჭარბებით იქნა შესრულებული. ეს ნათლად მოწმობს არა ჯანსაღ

ᲐᲛᲮ. Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲐᲛᲮ. ᲡᲚᲔᲮᲜᲝᲕᲘᲩᲘᲡ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲘᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐ“-ᲨᲘ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ „ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“. *)

ᲐᲛᲮ. ᲡᲚᲔᲮᲜᲝᲕᲘᲩᲘ

თქვენი წერილი მივიღე. გიპასუხებთ დაგვიანებით, რადგან ძალზე დატვირთული ვარ მუშაობით

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაგეთანხმოთ ამხ. სლეხნოვიჩ და აი რატომ:

1. არ არის მართალი, რომ „ტროცკიზმი არასოდეს არ ყოფილა კომუნიზმის ფრაქცია“, რომდენადაც ტროცკისტებმა ორგანიზაციულად გასწყვეტეს კავშირი — თუნდაც დროებით — მენშევიზმთან, მიჩქმალეს — თუნდაც დროებით — თავიანთი ანტი - ბოლშევიკური შეხედულებანი და მიღებულ იქნენ საკ. კომპარტიასა (ბ) და კომინტერნში, დაემორჩილენ ამ უკანასკნელთა გადაწყვეტილებებს — ტროცკიზმი ეჭვს გარეშე იყო კომუნიზმის ნაწილი, ფრაქცია. ტროცკიზმი იყო კომუნიზმის ფრაქცია ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ესე იგი, როგორც მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ნაწილი, რომელმაც შეინარჩუნა თავისი ჯგუფური თავისებურება ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ესე იგი, როგორც საკ. კომპარტიის (ბ) შიგნით ცოტად თუ ბევრად დარაზმულმა ფრაქციამ, რომელიც იბრძოდა გავლენისათვის პარტიაში.

სასაცილო იქნებოდა უარგვეყო საკ. კომპარტიის (ბ) ყრილობის და კონფერენციების რეზოლიუციებში აღნუსხული ყველასათვის ცნობილი ფაქტები ტროცკისტების, როგორც საკ. კომპარტიის (ბ) ფრაქციის შესახებ. საკ. კომპარტია (ბ) ვერ ითმენს ფრაქციებს და მას არ შეუძლია დაუშვას მათი ლეგალიზაცია? დიახ. ვერ ითმენს და არ შეუძლია დაუშვას მათი ლეგალიზაცია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტროცკისტები არსებითად არ წარმოადგენენ ფრაქციას. სწორედ იმიტომ, რომ ტროცკისტებს არსებითად ჰქონდათ თავიანთი ფრაქცია, რომლის ლეგალიზაციისათვის იბრძოდნენ ისინი, სწორედ ამიტომ — სხვათა შორის ამიტომ — აღმოჩნდნენ ისინი შემდეგ პარტიიდან გაძევებულნი.

თქვენ გინდათ ფონს გახვიდეთ იმით, რომ ცდილობთ ტროცკიზმი გამოჰყოთ ტროცკისტებისაგან და ფიქრობთ, რომ ის, რაც ეხება ტროცკიზმს არ შეიძლება ეხებოდეს ტროცკისტებს. სხვანაირად რომ ვსთქვათ, თქვენ გინდათ სთქვათ, რომ ტროცკიზმი არასოდეს არ ყოფილა კომუნიზმის ფრაქცია, ხოლო ტროცკი და ტროცკისტები წარმოადგენდენ კომუნიზმის ფრაქციას. ეს სოფლისტიკა და თავის მოტყუებაა ამხ. სლეხნოვიჩ! არ შეიძლება არსებობდეს ტროცკიზმი ტროცკიზმის მატარებელთა გარეშე, ესე იგი ტროცკისტების გარეშე, ისეთი, როგორც არ შეიძლება არსებობდენ ტროცკისტები ტროცკიზმის — დეენილაბადფარებული, მიჩქმალული, მაგრამ მაინც ტროცკიზმის — გარეშე, წარსულიდან შემთხვევაში ისინი აღარ იქნებოდენ ტროცკისტები.

რაში მდგომარეობდა ტროცკისტების დამახასიათებელი თვისება, როდესაც ისინი შეადგენდენ კომუნიზმის ფრაქციას? ეს თვისება მდგომარეობდა იმაში, რომ ტროცკისტები „პერმანენტულად“ ქანაობდენ ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შორის, ამასთან ეს ქანაობა უმაღლეს წერტილს აღწევდა ყოველი გარდატეხის დროს პარტიის და კომინტერნის პოლიტიკაში და ღებულობდა პარტიის წინააღმდეგ ფრაქციული ბრძოლის ხასიათს. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ტროცკისტები არ იყვენ ნამდვილი ბოლშევიკები, თუმცა პარტიაში შედიოდენ და მის გადაწყვეტილებებს ემორჩილებოდენ, რომ მათ აგრეთვე ვერ ეუწყოდათ ნამდვილ მენშევიკებს, თუმცა ისინი ხშირად იხრებოდენ მენშევიზმისაკენ, სწორედ ეს ქანაობა და ედგა საფუძვლად შინაპარტიულ ბრძოლას ლენინელებსა და ტროცკისტებს შორის ჩვენს პარტიაში ტროცკისტების ყოფნის დროს (1917—1927 წლები), ტროცკისტების ამ ქანაობის საფუძველს კი წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ტროცკისტებს, რომელთაც მიჩქმალეს თავიანთი ანტი-ბოლშევიკური შეხედულებანი და რომელნიც ამგვარად შევიდენ პარტიაში, მაინც ხელი არ აუღიათ ამ შეხედულებებზე, რის გამო სწორედ ეს შეხედულებანი განსაკუთრებული სიძლიერით აშკარავდებოდა ყოველი გარდატეხის დროს პარტიის და კომინტერნის პოლიტიკაში.

თქვენ, ალბად, არ ეთანხმებით ტროცკიზმის საკითხის ასეთ გაგებას. მაგრამ მაშინ თქვენ უნდა დაადგეთ ორი შემეცდარი დასკვნიდან ერთ-ერთ. ან იმ დასკვნას, უნდა დაადგეთ, რომ ტროცკიმ და ტროცკისტებმა, შევიდენ რა ისინი პარტიაში, საესებით უარყვეს თავიანთი შეხედულებანი და გადაიქცენ ნამდვილ ბოლშევიკებად, რაც არ

არის სწორი, რადგან ასეთი მოსაზრების დროს არ შეიძლება გავიგოთ და აგხსნათ ტროცკისტების ის განუწყვეტელი შინაპარტიული ბრძოლა, პარტიის წინააღმდეგ, რომელიც ავსებს ჩვენს პარტიაში ტროცკისტების ყოფნის მთელ პერიოდს. ან ის დასკვნას უნდა დაადგეთ, რომ ტროცკიზმი (ტროცკისტები) „ყოველთვის წარმოადგენდა მენშევიზმის ფრაქციას“, რაც ისევ არ არის სწორი, რადგან ლენინი და ლენინური პარტია პრინციპულ შეცდომას დაუშვებდენ, რომ მათ მენშევიკები თუნდაც ერთი წუთით მიეღოთ კომუნისტური პარტიის შემადგენლობაში.

2. არ არის მართალი, რომ ტროცკიზმი „ყოველთვის წარმოადგენდა მენშევიზმის ფრაქციას ბოლშევიკებში, ბურჟუაზიული აგენტურის ერთ-ერთ სახეობას მუშათა მოძრაობაში“, აგრეთვე არ არის სწორი თქვენი ცდები გამოყოთ „პარტიის დამოკიდებულება ტროცკიზმის, როგორც მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიული აგენტურის თეორიის და პრაქტიკისადმი“. „პარტიის დამოკიდებულებისაგან ტროცკისა და ტროცკისტებისადმი განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში.

ჯერ ერთი, როგორც ზემოთ უკვე ვსთქვი, თქვენ უშვებთ შეცდომას, სქოლასტიკურ შეცდომას, როცა ხელოვნურად სწყვეტთ ტროცკიზმს ტროცკისტებისაგან და პირიქით—ტროცკისტების ტროცკიზმისაგან.. ჩვენი პარტიის ისტორია გვაუბნება, რომ ეს მოწყვეტა რამდენადაც მას უშვებდა ჩვენი პარტიის ესა თუ ის ნაწილი, ყოველთვის და სვლამდე იყო მენშევიზმის ფრაქცია, მთლიანად სასარგებლო იყო ტროცკიზმისათვის, ვინაიდან ამ უკანასკნელს უადვილებდა დაეფარა თავისი სახე პარტიის წინააღმდეგ გალაშქრების დროს. შემძლია ჩუმად გითხრათ, რომ თქვენ უდიდეს სამსახურს უწევთ ტროცკის და ტროცკისტულ კონდრაბანდიტებს, როცა ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკაში ტროცკიზმის საკითხს ტროცკისტების საკითხებისაგან ხელოვნურად სწყვეტთ (გამოტოვებულია).

რით უნდა აავსნათ ამ შემთხვევაში განუწყვეტელი ბრძოლა პარტიაში და ტროცკისტებს შორის პარტიაში ტროცკისტების ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში? ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს იყო კონკლაობა, და არა პრინციპული ბრძოლა?

როგორც ხედავთ, „პროლეტარსკაია რევოლიუციია“-ს მიმართ ჩემი წერილის თქვენ მიერ მოცემული „შესწორების“ აბსურდამდე მივყავართ.

ნამდვილად კი ტროცკიზმი ტროცკისტების ჩვენს პარტიაში შესვლის შემდეგ დროებით გადაქცა კომუნიზმის ფრაქციად, „გი „ტროცკისტების ჩვენი პარტიიდან გაძევების“ შემდეგ ისევ გადაიქცა მენშევიზმის ფრაქციად“, „კვლავ დაუბრუნდა თავის ნიადაგს“ რაშესახებაც:—

ა) არ შეიძლება მტკიცება, რომ „განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში“ პარტია ტროცკი და ტროცკისტებს სთვლიდა ნამდვილ ბოლშევიკებად, ვინაიდან ასეთი მოსაზრება ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიის 1917-1927 წლების პერიოდის ისტორიის ფაქტებს.

ბ) არ შეიძლება ითქვას, რომ ტროცკიზმი (ტროცკისტები) „ყოველთვის წარმოადგენდა მენშევიზმის ფრაქციას“.

მაშ რა დასკვნა გვრჩება? გვრჩება ერთი რამ: დავეთანხმოთ იმას, რომ „განსაზღვრულ პერიოდში“ ტროცკიზმი წარმოადგენდა კომუნიზმის ფრაქციას — ფრაქციას, რომელიც ქანაობდა ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შორის.

Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ



ᲐᲛᲮ. ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲕᲡ

თქვენ გაუგებრობაში ვარდებით, ამხ. არისტოვ! წერილს „ოქტომბრის რევოლიუციია და რუსეთის კომუნისტების ტაქტიკა“ (1924 წ.) და „პროლეტარსკაია რევოლიუციია“-სადმი წერილს“ (1931 წ.) შორის წინააღმდეგობას ადგილი არაა ქვს. ეს ორი დოკუმენტი ეხება საკითხის სხვადასხვა მხარეს, და ეს თქვენ „წინააღმდეგობად“ მოგეჩვენათ. მაგრამ „წინააღმდეგობას“ აქ ადგილი არა აქვს. წერილში „ოქტომბრის რევოლიუციია“ ლაპარაკია იმაზე, რომ 1905 წელს არა როზა ლიუქსემბურგმა. არამედ პარვუსმა და ტროცკიმ წამოაყენეს „პერმანენტული“ რევოლიუციის თეორია ლენინის წინააღმდეგ. ეს სავსებით შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს. სწორედ პარვუსი, რომელიც 1905 წელს ჩამოვიდა რუსეთში და რედაქტორობდა სპეციალურ გაზეთს, სადაც იგი აქტიურად იცავდა „პერმანენტული“ რევოლიუციის თეორიას ლენინის „კონცეპციის“ წინააღმდეგ, სწორედ პარვუსი, ხოლო პარვუსს შემდეგ და მასთან ერთად ტროცკი —სწორედ ეს ორი თავს ესხმოდა მაშინ რევოლიუციის ლენინურ სქემას და მას უპირდაპირებდა „პერმანენტული“ რევოლიუციის თეორიას, ამასთან ისინი თვალთმაქცურად თავს იკავებდენ აქტიური ბრძოლისაგან ლენინთან და, ალბად, ამჯობინებდენ ამ ნიადაგზე ჯერ ჯერობით არ ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში..

რადგან წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლის დროს წერილში „ოქტომბრის რევოლიუციია და რუსეთის კომუნისტების ტაქტიკა“-ში მე გავამახვილე ყურადღება პარვუსის წინააღმდეგ, რადგან 1905 წლის შემდეგ პარვუსი გადაიქცა ოდიოზურ ფიგურად, გახდა მილიონერი, გადაიქცა გერმანიის იმპერიალისტების პირდაპირ აგენტად, და რადგან პარვუსის ოდიოზური სახელით მოინდომა გვერდი აევლო ისტორიისათვის. მე კი წინალუდექი მას და ჩავფუშე რადგან ის მთავრი, ალვადგენილია ისტორიული სამართლე და სათანადოთ ზეგაფასე პარვუსი. ასეთია ეს წერილი —„ოქტომბრის რევოლიუციია და რუსეთის კომუნისტების ტაქტიკა“.

რაც შეეხება წერილს „პროლეტარსკაია რევოლიუციია“-ს, „რედაქციის მიმართ“, იქ უკვე ლაპარაკია საკითხის სხვა მხარეზე, სახელდობრ იმაზე, რომ „პერმანენტული“ რევოლიუციის თეორია შეთხზეს როზა ლიუქსემბურგმა და პარვუსმა. ესეც შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს. არა ტროცკიმ, არამედ როზა ლიუქსემბურგმა და პარვუსმა შეთხზეს „პერმანენტული“ რევოლიუციის თეორია. არა როზა ლიუქსემბურგი, არამედ პარვუსი და ტროცკი აყენებდენ 1905 წელს „პერმანენტული“ რევოლიუციის თეორიას და აქტიურად იბრძოდენ ამ თეორიისათვის, ლენინის წინააღმდეგ. შემდეგ როზა ლიუქსემბურგმაც იწყო აქტიურად ბრძოლა რევოლიუციის ლენინური სქემის წინააღმდეგ., მაგრამ ეს იყო უკვე 1905 წლის შემდეგ.

Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

1932 წლის 25 ივნვარი.

*) დაბეჭდილია მოსკოვის „ბოლშევიკ“-ში № 16 გადმოცემულია ტელეგრაფით ჩვენი მოსკოველ კორესპონდენტისაგან.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲓ

ᲙᲚᲘᲔᲠᲓᲔᲒᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲝᲜᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲣᲐᲠᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ 4 ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲖᲔ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 14 ოქტომბერი. ინგლისის მთავრობის წინადადება — მოწვეულ იქნეს ევროპაში ოთხი სახელმწიფოს კონფერენცია, იტალიის მთავრობამ დაუყოვნებლივ **მიიღო, ხოლო** გერმანიის მთავრობამ უარი სთქვა კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე. იმ შეთხვევაში, თუ ეს კონფერენცია შესდგება ჟენევაში. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანო „დეიჩე დიპლომატიშე პოლიტიშე კორესპონდენტ“-ი, ეხება რა გერმანიის უარს, სწერს:

„გერმანიას უკვე იმიტომ არ შეუძლია ღალატობდეს ამ მოლაპარაკების გამართვაზე ჟენევაში, რომ ამით იგი შეიძლება ერთგვარად ჩათრეულ იქნას განიარაღების კონფერენციის მუშაობაში. მთავარია ის, გაიგებოდეს, რომ ეს მოლაპარაკება იწყება. იმ ადგილას, სადაც კონფერენციაა გამართული, და მის მთავარ მონაწილეებს შორის, ამასთან არ იქნება შესრულებული ის პირობა, რომელიც წამოაყენა გერმანიის მთავრობამ, როგორც განიარაღების კონფერენციის მუშაობაში თავისი მონაწილეობის წინაპირობა. ამ პირობას წარმოადგენს გერმანიის მიერ შეიარაღებაში თანასწორუფლებიანობის შესახებ დასმული საკითხის წინასწარი გადაწყვეტა. თუ განზრახულმა მოლაპარაკებამ უნდა შექმნას ეს წინაპირობა, არ შეიძლება მისი ჩაყენება ისეთ მდგომარეობაში, რომელიც გერმანიის პოზიციას წინასწარ მისცემდა კატეგორიული ხასიათ. **გერმანიას არ შეუძლია, დახიოს და იგი** არც **ეახმოს თავის პოზიციებს ამ საკითხში (ადს).**

ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 14 ოქტომბერი. გერმანიის კოლონიალურ საზოგადოების 50 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, თითქმის ყველა ბურჟუაზიული გაზეთები აყენებენ გერმანიის კოლონიალურ სამფლობელოების დაბრუნების საკითხს. ყველაზე უფრო გულახდილად სწერს „ფოლკიშე ბეობაქტერი“-ს ორგანო „დერ შტა

“, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბრძოლა კოლონიებისათვის ნაკარნახევია ეკონომიური აუცილებლობით, რადგან, კოლონიები საშუალებას მისცემენ გერმანიას არ დახარჯოს თავისი ვალიუტა ნედლეულის შემოტანაზე.

ჰუგენბერგის „დერ ტაგ“-ი აცხადებს, რომ გერმანიისათვის კოლონიების დაბრუნების გარეშე, ბრძოლა გერმანიის თანასწორუფლებიანობისათვის „არ არის საკმარისი“ (ადს).

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲛᲐᲜᲯᲣᲠᲘᲐᲨᲘ

ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐᲜᲘ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲯᲣᲠᲘᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐᲜᲘ, 14 ოქტომბერი. იაპონიის ჯარების შტაბის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იაპონიის ჯარმა ფართო მასშტაბით დაიწყო კამპანია „ბანდიტების“ წინააღმდეგ გუნბანის რაიონში, რომელიც მდებარეობს მუკდენ - ანდუნის და მუკდენ-ხაინინგენის, რკინის გზების და ჩანბაიშნის მთების საზღვარზე.

სამხედრო წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ამ რაიონში არის 27 000 პარტიზანი. „დიდი დანების“ რაზმებში ირიცხება 8.000 კაცი. პარტიზანთა რაზმების ცენტრს წარმოადგენს ტუნხუა (ტუნ-ლინის პროვინციის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში), სადაც პარტიზანებს აქვთ არსენალი და ამუნიციის მარაგი. იაპონიის ჯარი ერთსა და იმავე დროს მიიწევს სამ მიმართულებით: **სამხრეთით, დასავლეთით,** და ჩრდილოეთით. 10 ოქტომბერს **ხალუნის** სამხრეთით მოხდა პირველი შეტაკება იაპონიელ ავანგარდსა და „დიდი დანების“ რაზმს შორის. იაპონიის ჯარების შტაბის წარმომადგენლის სიტყვით, „დიდი დანების“ რაზმმა, თითქოს, ძმიმე დამარცხება განიცადა და იგი დაიშალა. (ადს).

ᲛᲣᲙᲓᲔᲜᲘ, 14 ოქტომბერი. ძიამურუში (ᲩᲠᲓᲘᲚᲘ ᲡᲣᲠᲑᲐᲠᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲘᲗ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ) დამბანაკებულმა იაპონიის ჯარის ნაწილებმა სეკტემბრის დამლევს დაიწყეს ოპერაციები **ლი დუ-ს და დინ ჩოუს** ჯარების წინააღმდეგ, ძიამუსუ-რიანსონის რაიონში.

გაზეთ „მანსიუ ნიპო“-ს ცნობით, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მოხდა 52 თავდასხმა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ადგურებზე და 32 თავდასხმა მატარებლებზე. 25-ჯერ შეწყვეტილ იქნა მოძრაობა რკინის გზებზე, ხოლო 82-ჯერ—სატელეგრაფო კავშირი. ამ ხნის განმავლობაში პარტიზანის რაზმებმა ტყვედ წაიყვანეს 35 რკინისგზელი და მოსამსახურე და დასჭრეს და მოჰკლეს 71 კაცი. პარტიზანების აქტიობა განსაკუთრებით გაძლიერდა მიმდინარე წლის აგვისტოში (ადს).

ᲛᲐᲜᲯᲣᲠᲘᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲝᲑᲐ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

ᲒᲔᲘᲞᲘᲜᲘ, 14 ოქტომბერი. ხარბინიდან იუწყებიან, რომ ხუნანის რკინის გზის რაიონში გაძლიერდა პარტიზანთა აქტიობა 10 ოქტომბერს პარტიზანები თავს დაესხნენ ხაილუნს და შეებრძოლენ იაპონიის რაზმს. **ორივე** მხარე დიდათ დაზარალდა. იაპონიის **ჯარ**ში ნიანმა მატარებელმა, რომელიც **მდიოდა** სუნხუაში, მარცხი განიცადა სუნხუადან 20 კილომეტრის მანძილზე. არის მსხვერპლი (ადს).

ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲠᲐᲖᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲑᲔᲘᲯᲘᲜᲘ, 14 ოქტომბერი. გაზეთი „ხარბინ ნი�Ი-ნიცი“, აღნიშნავს, რომ მდინარე სუნგარის ქვემო ნაწილში, კერძოდ ძიამუსუს რაიონში, თაქმოყრილია 3.000-მდე პარტიზანი.

ხარბინის პრესა იუწყება, **რომ ძლიერდება ვან ტენ-ლინის** პარტიზანული ნაწილების გაერთიანებული ძალების აქტივობა. 6.000 მებრძოლისაგან შემდგარმა პარტიზანულმა რაზმმა დაიკავა მთელი რიგი პუნქტები ქალაქ ნინგუტის ჩრდილოეთით, სამხრეთით და აღმოსავლეთით (ადს).

ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲓᲐᲜ

ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ, 15 ოქტომბერი (ᲡᲐᲙ. ᲙᲠᲙ.) 13 ოქტომბერს ამოიღეს 735 ტონა ქვანახშირი, 960 მუშის ნაცვლად სამუშაოზე გამოვიდა -726. 50 ვაგონის ნაცვლად რკინის გზამ მაღაროებს მიაწოდა 38 ვაგონი

14 ოქტომბერს ამოიღეს-735 ტონა ქვანახშირი, აღმოს. უბანში-388 ტონა და დასავლეთში-348. მუშაობდა -727 კაცი. შრომის ნაყოფიერება თვითეული მუშაზე უდრის-706 კ.გრ. 50 ვაგონის ნაცვლად რკინს გზამ მაღაროებს მიაწოდა-38 ვაგონი.

ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘ

ᲙᲐᲡᲞᲘ, 15 ოქტომბერი (საკ. კორ.) 13 ოქტომბერს გამოიწვა 3167 კასრი ცემენტი—დავალების 120,6 პრ. არცერთი კასრი არ დაფქვილა და არ გაგზავნილა, რაც გამოიწვია თაბაშირის უქონლობამ.

ᲙᲐᲡᲚᲘ, 15 ოქტომბერი, (საკ. კორ.). 14 ოქტომბერს კასპის ცემენტის ქარხანაში გამოიწვა 3012 კასრი ცემენტი, დღიური დავალება შესრულებულია 114,7 პროცენტით დაიფქვა 836 კასრი — 31,5 პრ ჯ. გაიგზავნა დანიშნულებისამებრ — 1655 კასრი — 65,5 პროც. დაფქვის გეგმის შესრულებას ხელი შეუშალა გიპსის უქონლობამ.

ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲒᲐ ᲤᲘᲚᲘᲞᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 14 ოქტომბერი. ფილიპინის კუნძულებზე მთავრობის ჯარმა, იერიში მიიტანა სოფელ ტაიუნგაგანზე, სადაც იმყოფება მოროს ტომის 400 აჯანყებული

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲛᲐᲜᲯᲣᲠᲘᲐᲨᲘ

ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐᲜᲘ, 14 ოქტომბერი. „მანჩესტერ გარდიან“-ი, ათავსებს ერთი ინფენერის წერილს. ამ წერილში ავტორი ეხება საბჭოთა მთავრობის, მიერ ინგლისელი ფაბრიკანტებისათვის მიცემულ დაკვეთებს და აცხადებს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ საბჭოთა კავშირი თვითონ დაამზადებს ელექტრომოწყობილობას, რომელთაც იგი ეხლა ინგლისს უკვეთავს. წერილში ნათქვამია, რომ ამჟამად საბჭოთა კავშირი ამზადებს ელექტრომოწყობილობის დიდ ნაწილს. წერილის ავტორი წინადადებას იძლევა დაწყებულ იქნას მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან, რათა ზედმეტი ტეხნიკოსები და კვალიფიციური მუშები ინგლისიდან გადასახლებულ იქნან საბჭოთა კავშირში მრეწველობის იმ დარგებში სამუშაოდ, რომლებიც ყველაზე უფრო მწვავედ განიცდიან კვალიფიციურ მუშაკთა ნაკლებობას, რომ ამ გვარად ნაწილობრივ მაინც გადაიჭრას უმუშევრობის პრობლემა (ადს).

ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲒᲐ ᲨᲘᲜᲐᲗᲐᲜᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 14 ოქტომბერი. ფილიპინის კუნძულებზე მთავრობის ჯარმა, იერიში მიიტანა სოფელ ტაიუნგაგანზე, სადაც იმყოფება მოროს ტომის 400 აჯანყებული

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 14 ოქტომბერი. ინდოეთის ეროვნული კონგრესის ბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე, ინდოეთის ეროვნული კონგრესის ლიდერ ბოსმა, ინდოეთის ეროვნული კონგრესის ეროვნული პროგრამა ასეთ ფორმულირებულ იქნა: ინდოეთი, ინდოეთის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეკონომიურ ურთიერთობას ამყარებს ყველა ქვეყანასთან, ინდოეთი ეკონომიურ ურთიერთობას ამყარებს ინგლისთან, ინდოეთი ეკონომიურ ურთიერთობას ამყარებს ინგლისთან, ინდოეთი ეკონომიურ ურთიერთობას ამყარებს ინგლისთ

თბილისის საკოლმეურნეო ბაზრობაზედ

სასტიკად შევებრძოლოთ სპეკულიანტ-გადამყიდველებს

დავიცვათ სასტიკი წესრიგი ბაზრებზედ

„ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ვაჭრობის განვითარება, კერძოდ კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთა ვაჭრობის განვითარება არა თუ არ ნიშნავს საბაზრო სტიქიის გაშლას და ნეპმანის და სპეკულიანტის დაშვებას, როგორც ამას მემარჯვენე ოპორტუნისტული კულაკური ელემენტები ამტკიცებდენ, არამედ პირიქით, მოითხოვს კერძო ვაჭრობის და გადამყიდველი სპეკულიანტების ალაგმვას, რომლებიც ცდილობენ ჯიბე გაისქელონ საკოლმეურნეო ვაჭრობის ხარჯზე“

(საკ. კ. პ. (ბ) ცეკას სექტემბრის პლენუმის რეზოლიუციიდან)

ლაპარაკობენ კოლმეურნეები

დ. შენგელიძე
(სოფ. დიდი-ლილო)

მე ვეთაურობ სოფელი დიდი-ლილოს სტალინის სახ. კოლმეურნეობის IV ბრიგადას, რომელმაც ჩამოიტანა ბაზრობაზე გასასაღებლად ხუთი ურემი ადგილობრივი ნაწარმოები. (30 ფუთი დაკლული საქონლის ხორცი 3 ცხვარი, 25 ფუთი კარტოფილი და სხვ.). საკოლმეურნეო ბაზრობაზე ვაჭრობის წარმოების წესის შესახებ ჩვენ სოფელში მოგვცეს ახსნა-განმარტებები, მაგრამ აქ ვაჭრობის წესები ხშირად ირღვევა და ამას სრულიადო თვალყურს არ აადევნებენ ბაზრობის ხელმძღვანელები.

ჩვენ შემდეგ დღეებშიაც ჩამოვიტანთ საყაჭრო პროდუქტებს. ჩვენი კოლმეურნეები ამბობენ, რომ აეთი დიდი ბაზრობა მათ არასოდეს არ უნახავთ და ყველანი კმაყოფილი არიან ბაზრობის პირველი დღის შედეგებით.

ამხ. ქიარიმ-ოღლი
(სოფლანლოღის კოლმეურნეობა)

ჩვენი კოლმეურნეობა დიდიხანია ემზადება ბაზრობაზე გამოსასვლელად, დამზადებული გვაქვს დიდძალი პროდუქტები, უმთავრესად ცოცხალი საქონელი და ბოსტნეული. დამზადებული პროდუქტებიდან დღეს მხოლოდ მცირე ნაწილი გამოვიტანეთ ბაზარზე.

ჩვენმა კოლმეურნეებმა გადასწყვიტეს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბაზარზე ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში. ჩვენ ბაზარზე გამოვიტანეთ 3 ურემი დაკლული საქონლის ხორცი და გამოსვლისთანავე დავიწყეთ მისი დაკლებულ ფასებში გაყიდვა. ჩვენს გამოსვლამდე ბაზარზე ძროხის ხორცი იყიდებოდა 6 მანეთად კილო, ჩვენ კი კილო ხორცს ვყიდდით 3 მანეთად.

ფასების დაკლების შესახებ ჩვენ სოციალისტურ შეჯიბრებაში გეყაჯს გამოწვეული დიდი-ლილოს კოლმეურნეობა.

ამხ. ნინო ტატუნაშვილი
(ზემოავჭალის კოლმეურნეობა)

მე და ჩემთან ერთად კიდევ რამოდენიმე სხვა კოლმეურნე ჩამოვედით თბილისის ბაზრობაზე საკუთარი პროდუქტების გასასაღებლად.

საბაზრო მოედნებზე გამოსვლისას ჩვენ არავის არ გაუფრთხილებიავართ იმის შესახებ, რომ საჭირო იყო ალოიცხვაზე გატარება და ქვითარების მიღება.

ამიტომ ჩვენც შევეცადეთ ჩქარა გაგვეყიდა საქონელი და მართლაც, დილის 10 საათისათვის ჩამოტანილი პროდუქტები უკვე გავასაღეთ. ამჟამად ჩვენ არავინ არ გვაძლევს ორ დღის იმისათვის, რომ სამრეწველო საქონელი შევიძინოთ.

საჭიროდ მიმაჩნია ამ გარემოებას ბაზრის საქმართველომ მიაქციოს ყურადღება.

ამხ. მიხეილ ნადარეიშვილი
(ფ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობა)

ჩვენმა კოლმეურნეობამ დღეს ბაზრობაზე გამოიტანა 8 ათასი მანეთის საქონელი. საქონლის გასაღების შემდეგ ჩვენ მივიღეთ სამრეწველო საქონელის შესაძენ ორდერებს და სამრეწველო საქონელს გავანაწილებთ კოლმეურნეობის წევრებს შორის.

ბაზრობაზე ფასების დაკლების შესახებ გამოცხადებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენ აქტიური მონაწილეობას ვიღებულობთ. სოფლიულის კოლმეურნეობის გამოწვევის სასასუნოდ გადავწყვეტეთ ფასების კიდევ უფრო დაკლება, განსაკუთრებით ბოსტნეულზე.

ამხ. იოსეფ მამუჩაშვილი
(ინდივიდუალური მეურნე)

საკოლმეურნეო ბაზრობის გახსნისას მთავრობის წარმომადგენლების სიტყვებმა მე დამარწმუნეს, რომ მშრომელი გლეხობის ერთად-ერთი გზა არის კოლმეურნეობა. **მე გადაწყვეტილი მაქვს სოფელში დაბრუნებისთანავე დავარწმუნო ჩემი ოჯახის წევრები, რომ ყველანი შევიდეთ კოლმეურნეობაში.**

მე ვხედავ, რომ ბაზრობაზე გამოსული კოლმეურნეები ერთმანეთთან შტაიცე კავშირში არიან და ამიტომ უკეთ ვაჭრობენ, უფრო კარგად გრძნობენ თავს ვიდრე ჩვენ, ინდივიდუალური გლეხები.

ამხ. ხულუს ბერიძე
(აბარისტანი)

ჩვენ გავიგეთ აბარისტანში, რომ თბილისში ეწყობოდა დიდი საკოლმეურნეო ბაზრობა. აქ ჩამოსული აბარლები ყველანი კოლმეურნეები ვართ. ჩვენი კოლმეურნეობა ორ კვირაზე მეტია, რაც ამზადებს სოფლის მურნეობის ნაწარმოებებს თბილისში გამოსაგზავნად და ჩვენ დაგვავალეს დამზადებული საქონლის ერთი ნაწილის წამოღება.

ტრიბუნაზე დგას კოლმეურნე

სამი ბაზარი

ასეთი გრანდიოზული ბაზრობა თბილისს ჯერ არ უნახავს. ამას ამბობენ ყველგან და ყველანი, ამას ადასტურებს ქალაქის ბაზრების მოწყობის ისტორიაც.

„დეზერტირკა“ — ამ რამოდენიმე წლის წინად წარმოადგენდა პატარა მოედანს, სადაც რამოდენიმე ათეული წუმწუმის ყუთის ოდენა კარვები მიწყობილი იყო ერთი მეორეზე. აქ ბატონობდენ სპეკულიანტები, წვრილფეხა ვაჭრუკანები, ძველების გადამყიდველები, ყოველგვარი ჯურის მოაფერის ტო საქმის კომბინატორები.

სწორედ ამ ადგილას დღეს, სავაჭრო უკანასკნელი სიტყვის თანახმად მოწყობილია ახალი ბაზარი, რომელიც ერთ-ერთი სუტთესო და თითქმის ყველაზე უფრო კეთილმოწყობილი საკოლმეურნეო ბაზარია მთელ თბილისში.

ახალი ბაზარი, თბილისის 1-ლი საკოლმეურნეო ბაზრობის მთავარი პუნქტია. აქ, ბატონობს სბჭოთა ვაჭრობა, აქ შემოსულან საქართველოს შორეული და მახლობელი რაიონების კოლმეურნეობების ბრიგადები, ცალკე კოლმეურნეები, საშუალო და ღარიბი გლეხობა, რომ გაასალონ ჩამოტანილი პროდუქტები და შეიძინონ ფართო მოხმარების საქონელი.

ბაზარი გადატვირთულია

საბაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი, რომელიც მორიგეობს ამ ბაზარზე უკმაყოფილოდ აცხადებს, რომ საქონლის შემოზიდვამ ბაზარზე ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, რომ ახალი ბაზარი — ყველაზე დიდი ბაზარი ქალაქში გადატვირთულია.

ყოველგვარი ხილეულობა, დაკლული საქონლის ხორცი, ბოსტნეული, კომბოსტოს და კარტოფილის გორაკები, საზამთრო, ნესვი, კვაზი, ხახვი, ლობიო, ყველი, ქათამი, კვერცხი, კარაქი, ყველაფერი უხვადაა.

ბაზარზე გასასყიდად გამოტანილი. ვაჭრობა გაბუერებულია.

საკვირველია; მიუხედავად უამრავი შეიდველებისა მიუხედავად დიდძალი საქონლისა, რომლითაც დაფარულია მთელი ნახევარი მოედანისა, — ვაჭრობა მაინც წესიერად წარმოებს, არ არის გრძელი კუდები, არა აქვს ადგილი ჩვეულებრივ ბაზრებისათვის დამახასიათებელ უწესრიგობას.

მოედნის მეორე ნაწილზე გამართულია სამრეწველო საქონლით ვაჭრობა. რაიონებიდან ჩამოსულები პირველად აქ მოდიან, რომ პროდუქტების გაყიდვიდან შემოსული თანხით შეიძინონ ფართო მოხმარების საქონელი, — ფართალი, ფეხსაცმელი, ჭურჭლეულობა, მისი ტანსამოსი, აღეჯეულობა, ნალი, ლურსმანი და ვინ იცის, კიდევ რა.

ავჭალის ბაზარი ყველაზე ახალგაზრდა და მინიატურულია. აქ კიდევ ვერ იგრძნობთ თბილისის საკოლმეურნეო ბაზრობის მთელ გრანდიოზულობას. აქაც დიდძალი სა.-სამეურნეო ნაწარმოებია გამოტანილი.

დესიმონოვის ბაზარი მხოლოდ ტერიტორიალურადაა უფრო დიდი ახალ ბაზარზე; სხვა მხრივ იგი ბევრად ჩამორჩება უკანასკნელს. დესიმონოვის ბაზარი სულ ახალია იგი, ფაქტიურად ეხლა ეწყობა, თუმცა კოლმეურნეებისათვის იგი შეიქნა ამ რამოდენიმე თვის წინათ.

შემოტანილი სა.-სამეურნეო პროდუქტების და სამრეწველო საქონლის რაოდენობის მხრივ იგი ეიორსეულ „მეტოქეობას“ უწევს ახალ ბაზარს. აქ, უმთავრესად ვაჭრობენ ალმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს რაიონებიდან ჩამოსული კოლმეურნეები.

ეს სამი ბაზარია, სადაც მიმდინარეობს საქართველოში პირველი საკოლმეურნეო ბაზრობა.

მიტინგი ბაზრობზე გახსნის დროს ახალ ბაზარზე ამხ. ფ. მახარაძე ტრიბუნაზე

ტრიბუნასთან ახალ ბაზარზე

სამივე საკოლმეურნ. ბაზრის გახსნა გუშინ დილით მოხდა. ბაზრების გახსნამდე ვაჭრობა, მართალია სწარმოებდა, მაგრამ მას არ ჰქონდა ოფიციალური ხასიათი. საზეიმო გახსნისთანავე საკოლმეურნეო ბაზრებზე გამოსულმა ცალკე კოლმეურნეებმა გამოაცხადეს სოციალისტური შეჯიბრება პროდუქტებზე ფასების დაკლების მიზნით. ამხ. ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ, კილო პამდოროზე ფასი შეამცირა 80 კაპეიკიდან 55 კაპეიკამდე. მას გამოეხმაურა ამხ. მ. კახიანის სახელობის კოლმეურნეობა, სოფლანლოღის კოლმეურნეობა და სხვ.

ახალი ბაზარი გახსნა საქ. კოლმეურნეცენტრის თავმჯდომარემ ამხ. **პარ. წულუკიძემ.** ბაზრის შუა მოედანზე აღმართულ ტრიბუნასთან თავი მოიყარა ზღვა ხალხმა—უმთავრესად სოფლებიდან ჩამოსულმა კოლმეურნეებმა, ღარიბმა და საშუალო გლეხობამ და ქალაქის მუშებმა.

სამხედრო ორკესტრმა შეასრულა ინტერნაციონალი. რადიომ „ინტერნაციონალთან“ ერთად გადასცა პარტიისა და ხელისუფლების წარმომადგენლთა მიერ წარმოთქმული სიტყვები. ამით ეუწყა მთელ რესპუბლიკას თბილისის ბაზრობის ოფიციალურად გახსნა.

ალგულალ-მანგლისის რაიონის კოლმეურ. და ინდივიდ. მშრომელი გლეხები, რომ-ბიც ჩამოვიდენ ბაზრობაზე. სურათზე—(მარცხნიდან მარჯვნივ) ისმაილ რუსტამ-ოღლი (მუსაბეკოვის სახ. კოლმეურნეობაზ თავმჯდომარე), ალ. ფედოროვი, პავლე ბოსტანჯიევი, რეიხან კოჯანოვი, ახდულ ნავრუზ-ოღლი და მაჰმედ ალმატ- ოღლი (ინდივიდუალური მეურნე)

ლაპარაკობენ ტრიბუნაზე

ბაზრობა

ბაზრობა ეწყობა ბაზრობა ეწყობა. ეს ბაზრობა ეწყობა. ეს ბაზრობა ეწყობა. ეს

შაქარმშენი

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

სადგურ აგარის ჩრდილოეთით გაშლილია ვრცელი ველები. ამ ორი-სამი წლის წინად მათ მხოლოდ სახნავ-სათესად იყენებდენ. ეხლა კი იქ მთელი ქალაქია გაშენებული. შენდება საბჭოთა საქართველოს პირველი შაქრის ქარხანა. აღმართულია უზარმაზარი შენობა—ქარხნის მთავარი კორპუსი. ირგვლივ, მოშორებით და ახლოს გაშენებულია მთელი რიგი სამოქალაქო ნაგებობანი. —საცხოვრებელი ბინები, საწყობები ლაბორატორია,, ფაბრიკა-სამზარეულო კლუბი, საავადმყოფო, აბანო და სხვა. ზოგი შენების პროცესშია, ზოგი დამთავრების სტადიაში იმყოფება. მონტაჟზე მიმუშავეები, კალატოზები და დურგლები, ებრძვიან ლითონს, ქვას და ხე-ტყეს და ხორცს ასხამენ მომავალ გიგანტს. პნევმატიური ბურღვა განუწყვეტლივ მიდი-მოდის ლითონზე, ელექტრონი ანთებს ფოლაოის და რკინას— იქმნება მომავალი გიგანტის კონსტრუქციები, საშენებელ მასალებში სჭარბობს ტუფი, რომლის ვარდის ფერი განსაკუთრებულად ამკობს რუხ ფონს.

ქარხანა მზად იქნება დეკემბერში

ქარხანა დამთავრების სტადიაშია. გეგმით მისი ამუშავება ნოემბრისათვის იყო გათვალისწინებული. მაგრამ უკრაინის მანქანათმშენებელი ქარხნების მიერ მექანიკური ნაწილების დაკვეთის თავის დროზე შეუსრულებლობის გამო ეს ვადა გადატანილ იქნება დეკემბრის შუა რიცხვებისათვის. კიევის ქარხანა „ბოლშევიკი“ მექანიკურ ნაწილებს მხოლოდ ეხლა გზავნის, მათ გადმოზიდვას და აწყობა დადგმას დასჭირდება სულ მცირე, ორი თვე; დანარჩენი ქარხნებიც ორ-ნახევარი თვით აგვიანებენ შეკვეთების შესრულებას **ქარხნის მონტაჟის საბოლოოდ დამთავრებას უნდა ველოდეთ 10-15 დეკემბრისათვის.**

ამჟამად მთავარი კორპუსის საამშენებლო პროგრამა შესრულებულია 92 პროცენტით, სატურბინო განყოფილების — 93 პროცენტით, საქვაბისი—89 პროცენტით, შაქრის საწყობის—31 პროც. საჭარხლისი—ჰიდრო-ტრანსპორტით—40 პროც. და ა.შ.

შაქარმშენის მთავარი ინჟენერის ამხ. **შალმანოვის** განცხადებთ, ქარხნის მთავარი კორპუსის შენება დამთავრდება 10 ნოემბრისათვის, საქვაბე და სატურბინო საამქროებისა—1 ნოემბრისათვის, შაქრის საწყობის—და საჭარხლეს შენება—15 ნოემბრისათვის, ამავე დროისათვის იქნება მზად ყველა სამოქალაქო ნაგებობანი. დაწყებულია საქვაბეს მონტაჟი, ეხლა მიმდინარეობს პირველი 2 ორთქლის ქვაბის მომზადება, რაც 15 ნოემბრისათვის მოთავდება. ქვაბები ორთქლის გამომუშავებას დაიწყებენ 1 დეკემბრიდან. ენერგეტიკული საამქრო იტალიელ სპეციალისტებთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად მზად უნდა იყოს 1 დეკემბრისათვის. ეს ვადა რეალურია. საბინაო-კომუნალური მშენებლობის, პროგრამა შესრულდება 1 ივნისისათვის.

პირველი შაქარი მიღებული იქნება იანვარში

მაგრამ მარტო ქარხნების მიერ მექანიკური ნაწილების დაგვიანებით, დამზადება არ აბრკოლებს შაქრის გიგანტის ვადაზე ამუშავებას, ამბობ ხელს უშლის ზოგიერთ საშენებელ მასალების უქონლობაც. ამჟამად მშენებლობა განიცდის ტუფის და ხე-ტყის სიმცირეს. იმისათვის, რომ მშენებლობა დამთავრდეს, საჭიროა 250 ვაგონი ტუფი. ხე-ტყის მასალის მესამე კვარტალის ნორმა სავსებით გამოყენებულია, ეხლა უნდა მიიღონ პირველ და მეორე კვარტალში დარჩენილი ვალი. სულ მშენებლობისათვის კიდევ საჭიროა 220 ვაგონი ხე-ტყე. ნაწილი ხე-ტყისა უკვე გამოგზავნილია და დღეიდღეზე მოელიან. რკინის გზის მოუქნელი მუშაობა აფერხებს მათ დროულ გადმოზიდვას ადგილზე. სადღეისო საბრძოლო ამოცანას შეადგენს ამ თვეში 150 ვაგონი ტუფის მიღება. პერსპექტივები ამ მასალების მიღების მხრივ არ არის უიმედო, მშენებლობა მათ მიიღებს, მხოლოდ საჭიროა, რომ ტრანსპორტმა უზრუნველყოს მათი დროული გადმოზიდვა.

დანარჩენ მასალების მხრივ მდგომარეობა უკეთესია. ლითონი არის, ლურსმანი მოეპოვებათ. ნაკლებლობა მაა მხოლოდ ცემენტის და ეს გამო წვეულია ნორმების სრული ამოწურვით. მშენებლობის მიერ დასმულია საკითხი მომარაგების სახკომის წინაშე, რათა ნორმის გარეშე მას მიეცეს დამატებით 20 ვაგონი ცემენტი, რაც მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი სიძნელე, რომელიც აბრკოლებს მშენებლობას. ეს მდგომარეობს იმაში, რომ მანქანათმშენებელი ქარხნები „ბოლშევიკი“, „პროგრესი“ და სხვ. აძლევიან ცუდათ დამონტაჟებულ აპარატურას, ადგილზე უხდებათ მათი დაშლა და ხელახლა აწყობა.

ჭარხლის გაფუჭების საშიშროება არ არის

თუ ქარხნის დანიშნულ დროზე ამუშავება ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი, იქმნებოდა შაქრის ჭარხლის გაფუჭების საშიშროება, რადგან ჩვენ არ მოგვეპოვება მისი შენახვის სათანადო გამოცდილება და არც საჭირო საწყობები. მაგრამ ეს საშიშროება თავიდან აცილებულია. ჭარხლის ამოღება უკვე მიმდინარეობს და მიღებულია ზომები მოსავლის შესანახავად. მოწვეულია სპეციალისტი, რომელიც ხელმძღვანელობს ამ საქმეს. გათხრილია ნიადაგში საკენტილიაციო ორმოები და სწარმოებს ჭარხლის დამიწვა. ასეთი სახით შენახული ჭარხალი იანვრამდე თავისუფლად გასძლებს.

ჭარხლის მოსავალი საშუალოზე ნაკლებია. გეგმით ნავარაუდევი იყო ჭარხლის საბჭოთა მეურნეობებში ჰექტარზე 120 მც. ცენტნერი და კოლმეურნეობებში 100 მც. ცენ. ჭარხლის აღება, მაგრამ ფაქტიურად ჰექტარზე საშუალოდ 50 ცენტნერი მოდის. მიზეზი ერთის მხრივ ჭარხლის გაზრდა დათესვა, ხოლო მეორის მხრივ ის გარემოება, რომ ზაფხული გვალვიანი იყო და ჭარხლმა თავი არ გაიკეთა. მხოლოდ ეხლა დაიწყო ჭარხალმა ზრდა, მაგრამ სიცივეების დაწყების გამო მისი ნიადაგში ვარერება შეუძლებელია და უხდებათ წვრილი ჭარხლის ამოღება. ნაკლები მოსავლის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ნათესის შედარებით ცუდი დამუშავება, რაც აიხსნება სათანადო გამოცდილების უქონლობით და აგროპერსონალის სუსტი ხელმძღვანელობით.

ყველა ამ მიზეზების საფუძველიანი შესწავლით ძიღებულ უნდა იქნეს ზომები, რომ მომავალში ისინი აღარ განმეორდეს და აგარა-გომის ველებმა მოგვცენ, რაც შეიძლება მეტი ნედლეული შაქრის გიგანტის გამოსაკვებად. პირველ ხანებში კი ის პირველი საცდელი მოსავლითაც იოლად წავა. წლევანდელი მოსავალი ქარხნის საცდელი ამუშავებისათვის საკმარისია იქნება.

შაქრის ჭარხლის თესვის სეზონი აღრე გაზაფხულზე იწყება და ეს პერიოდი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაუშვათ.

მშენებლობაზე დაბანდებულ მუშა-ხელის 80 პროცენტს უკრაინიდან და რუსეთიდან მოწვეული მუშები შეადგენენ, დანარჩენი 20 პროცენტი ადგილობრივი ძალები. მშენებლობის მიერ დადებულია 250 ხელშეკრულება კოლმეურნეებთან მუშა-ხელის მიწოდებაზე, მაგრამ ამ ხელშეკრულების მხოლოდ 50 პროცენტი სრულდება. ადგილობრივი, ძალები 2-4 დღით მოდიან სამუშაოდ, შემდეგ მათ უკანვე იწვევენ. ამ ჟამად მშენებლობას აკლია მუშახელის 25 პროცენტი და ეს დანაკლისი აფერხებს მექანიზაციის და მუშაობის რაციონალიზაციის ხარჯზე.

ქართველმა გლეხებმა ჯერ კიდევ ვერ იბრუნა სავსებით პირი შაქარმშენისაკენ, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაეთვალოს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, უნდა მივაღწიოთ ადგილობრივ ძალებს აქტიურად ჩაბმას შაქრის გიგანტის მშენებლობაში.

მართალია სპეციალისტთა კადრების მომზადების მხრივ უკვე გადადგმულია ნაბიჯები და გაგზავნილია ასზე მეტი კაცი შაქრის წარმოების საქმის შესასწავლად, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ჩვენი კოლმეურნეკლიების მასიურად ჩაბმა ჭარხლის თესვის და გადამუშავების საქმეში.

მეტი ყურადღება მუშათა საყოფაცხოვრებო მომსახურეობას

ამჟამად მშენებლობაში ჩაბმულია 1300-მდე მუშა. მათი საყოფაცხოვრებო მომსახურეობის საქმე ვერ არის დამაკმაყოფილებელი. მშენებლობაზე საცხოვრებელ ბინების დიდ სივიწროვეს აქვს ადგილი. სამი კორპუსი რომელთაგან ორი უკვე დამთავრებულია, ხოლო მესამე კი მთავრდება, ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს, რადგან გარდა მუშებისა მშენებლობაზე იმყოფებიან 1000-მდე მათი ოჯახის წევრები. თითო ოთახში 3-4 ოჯახი ცხოვრობს. ჰიგიენური პირობები ცუდია. კორპუსები ჯერ არ არიან უზრუნველყოფილი კანალიზაციით, პირსაბანებით. საექიმო დახმარება მოუგვარებელია, მშენებლობა ვერ არის უზრუნველყოფილი მაღალკვალიფიციური საექიმო პერსონალით. საბინაო კრიზისის რამდენათმე შესაწელებლად ეხლა შენდება დამატებითი დროებითი ბარაკები.

მუშების მომარაგების საქმე შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია, მაგრამ იგი მაინც ვერ სდგას სასურველ დონეზე. განსაკუთრებით მოუწესრიგებელია სამრეწველო საქონლით მომარაგება. მომარაგების საქმეში 80 პროცენტი თვითდამზადებას უკავია, 10 პროცენტი ცენტრალური ხაზით მიდის. ეკეკვშირი და სხვა მომმარაგებელი ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ, ისინი ეზიდებიან ისეთ საქონელს, რომელიც ნაკლებად საღდება.

სპეკტანსაცმელით მუშები შედარებით უზრუნველყოფილი არიან. სიძნელეებია ფეხსაცმელით უზრუნველყოფის მხრივ, მაგრამ მიღებული ენერგიული ზომებით ეს ნაკლიც სწორდება. ბაქოში შეძენილია 400 წყვილი ფეხსაცმელი, შეძენილია აგრეთვე ზამთრისათვის 25 ათასი მანეთის სამრეწველო საქონელი, რომელთაც მშენებლობა ახლო მომავალში მიიღებს. შეშით მშენებლობა უზრუნველყოფილია.

მასიური მუშაობა არ სჩანს

მშენებლობის პარტიულ და პროფესიონელურ ორგანიზაციებს დიდ ნაკლად უნდა ჩაეთვალოს მშენებლობაზე მასიური მუშაობის გაუშლელობა. შეიძლება ითქვას, რომ ეს მუშაობა დღეს იქ არ სჩანს. სოც შეჯიბრება, დამკვრელობა, და სოციალისტური შრომის სხვა მეთოდები თვითდინებით ტარდება, მოუგვარებელია შრომის შედეგების აღრიცხვა. ზავი და წითელი დაფები გამოუყენებელია. მასიურ აღმზრდელობითი მუშაობა სუსტია. ამის შედეგია ის, რომ მშენებლობაზე გაცდენების ხშირ შემთხვევებს აქვს ადგილი. მართალია, დისციპლინას ფორმალურად „მოხერხებული“ მუშა ხელი აღიდევს, მაგრამ ამით მაინც არ შეიძლება პარტ. და პროფ. ორგანიზაციების სუსტი მუშაობის გამართლება. მასიურ-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებით შესაძლებელი იყო ამ ნაკლის აღმოფხვრაც.

მომავალში აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული მშენებლობის სამკუთხედის ყურადღება. მასიური მუშაობის სიუტუტ ნაწილობრივ სათანადო სპეციალური მუშაკის უყოლობითაც აიხსნება. ეს ნაკლი ეხლა გამოსწორებულია და არის ყველა პირობები იმისათვის, რომ მასიური მუშაობა მშენებლობაზე ფართოდ გაიშალოს.

ა. კელენჯერიძე



10 და 11 ოქტომბერს ჭიათურაში ჩატარდა „მე-8 გადამწყვეტი წლის“ სესხის მე-9 ტირაჟი: სურათზე: ლოზუნგი ბერძნულ ენაზე მუშათა სახლზე ჭიათურაში

ჩაის ნიადაგის მომზადებაში

უნდა მოხდეს ძირითადი გარდატეხა

ჩაის გეგმების შესრულება კოლმეურნეობებში

10 ოქტომბრისათვის

„საქ. ტრაქტორიცენტრი“-ს ცნობებითა 10 ოქტომბრისათვის ჩაისათვის ნიადაგი მომზადებული იყო კოლმეურნეობებში სულ 1584,5 ჰექტარზე, რაც მიმდინარე წლის მეორე ნახევრის გეგმის 19 პროც. შეადგენს.

განსაკუთრებით ჩამორჩენა ნიადაგის მომზადება ტრაქტორებით, ნიადაგის ტრაქტორებით მომზადების გეგმა ამავე რიცხვისათვის შესრულებული იყო მხოლოდ 12 პროც.

რაიონების მიხედვით კოლმეურნეობებში ჩაისათვის ნიადაგი 10 ოქტომბრისათვის მომზადებული იყო:

რაიონები	გეგმის	შესრულება
ბათომის	50 „	55,5 „
ქობულეთის	51 „	41,1 „
გალის	78,5 „	7,8 „
კოდორის	130,5 „	20,3 „
ოზურგეთის	138,05 „	50,1 „
ჩოხატაურის	39,7 „	18,9 „
ლანჩხუთის	31,41 „	2,4 „
სამტრედიის	161 „	19,7 „
ჭუთაისის	21 „	10,5 „
ხონის	82 „	35,1 „
ვანის	8,5 „	3,8 „
ოკრიბის	196,7 „	86,9 „
სენაკის	50,2 „	17,4 „
მარტვილის	26,3 „	4,2 „
ზუგდიდის	102 „	19,8 „
წალენჯიხის	119,12 „	17,1 „
ჩხოროწყუს	106 „	23,8 „
ხობის	22,5 „	14,1 „

როგორც ვხედავთ, ნიადაგის მომზადება ში ყველაზე წინ მიდის ოკრიბის რაიონი, რომელმაც გეგმა 86,4 პროცენტით შეასრულა. წინ მიდიან აგრეთვე ოზურგეთის, ბათომის და ქობულეთის რაიონები. ჩამორჩენა: ხობის, წალენჯიხის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ვანის. ჭუთაისის, ლანჩხუთის და გალის რაიონები.

აღნიშნული რიცხვ. ჩაის პლანტაციების მეორე ოთხნა კოლმეურნეობებში ჩატარებული იყო 16. 787,3 ჰექტარზე, რაც გეგმის 95 პროცენტს შეადგენს. მესამე ოთხნა ჩატარებული იყო 9.879 ჰექტ. (გეგმის 55,9 პროც.). ჩაის მეორე თოხნის გეგმა მთლიანად ქონდათ შესრულებული ბათომის, ქობულეთის, გალის, ლანჩხუთის, ხონის. ოკრიბის, და სენაკის რაიონებს. მესამე თოხნის საქმეში წინ მიდიან; ქობულეთის, გალის, კოდორის, ჩიხატაურის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ოკრიბის, სენაკის, ზუგდიდის და ხობის რაიონები.

მწვანე ფოთლის კრეფის დარგში — კი ასეთი სურათი გვქონდა; კოლმეურნეობებში სულ მოკრეფილი იყო 57.827 კ. გრ: ჩაი, რაც გეგმის 30.4 პროც. უდრის. მწვანე ფოთლის გეგმები წარმატებით შეასრულეს ჩხოროწყუს (200 პროც.), წალენჯიხის (146,5 პროც.), და მარტვილის (112,7 პროც.) რაიონებმა:

ამავე რიცხვისათვის ნიადაგის ამოძირკვის გეგმა შესრულებული იყო 28,7 პროცენტით.

ოზურგეთის რაიონი კვლავ მოწინავე პოზიციებზე

ჩაისათვის ნიადაგის მომზადება ოზურგეთის რაიონში დაკვრითი წესით მიმდინარეობს. ჩაის მეურნეობის საკითხებზე მოწვეულ რესპ. პარტთათბირზე ამხ. ბერიას მიერ გაკეთებულ მოხსენების და მის გარშემო მიღებულ რეზოლიუციის დ ამუშავებამ საკოლმეურნეო ბრიგადებში უდიდესი გამოხმაურება გამოიწვია. ცალკე ბრიგადებმა და კოლმეურნეებმა აიღეს ახალი ვალდებულებანი და ურთიერთ შორის გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება.

კოლმეურნეთა თავდადებული პროლეტიკურ მუშაობის ფართოდ გაშლილ, **ნიადაგის ხელით მომზადების გეგმა 200 ჰექტარის რაოდენობით 4 სექტემბრისათვის შესრულებული იყო 120 პროცენტით.**

ამჟამად სწარმოებს სატრაქტორო ფართობის (უდიდესი ნაწილის) ხელით ბარვა 160 ჰექტარზე. აღებული ტემპები მოწმობენ, რომ დამატებით მოცემული გეგმაც უმოკლეს ვადაში შესრულებული იქნება.

ჩაის გეგმები ყველაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულეს **სოფ. ცხენმლისხიდის, კონჭკათის, შუადგა ბზუს და გომგონების კარის კოლმეურნეობებმა.**

სოფ. ცხენმლის-ხიდის კოლმეურნეობამ საზოგადოებრივ ბუქსირზე აიყვანა სოფ. ნატანების და გაღმა დვაბზუს კოლმეურნეობები.

ს. მ—ლი.

ჩაის თესლის დამზადება დაიწყო

„საქ. ჩაის“ სამმართველოში მიღებულ ცნობებით, ჩაის თესლის დამზადებას 7 ოქტომბრიდან შეუდგა მხოლოდ ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა. რაიონებში ჩაის თესლის დამზადება დაიწყო 10 ოქტომბრიდან. თესლის დამზადების წარმატებით ჩასატარებლად ადგილებზე გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა: გამოყოფილია თესლის მიმღები პუნქტები, მობილიზაცია ეყო ტომრებს, ჩატარებული იქნა ახსნა-განმარტებითი მუშაობა თესლის დამზადების ირგვლივ და სხვ. თესლის დამზადების გეგმები უკვე დაყენებულია საბჭოთა მეურნეობამდე, სოფლამდე და კოლმეურნეობამდე. თესლეულის მისაღებად საჭირო თანხა უკვე გადაეგზავნათ რაიონებს.

7 ოქტომბერს ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში დამზადებული (მოკრეფილი) იქნა—3.600 კილო. თესლი, 8 ოქტომბერს—7000 კილო და 9 ოქტომბერსაც — 7000 კ. თესლის დამზადების გეგმის დროზე შესასრულებლად, რაოდენობის და ხარისხის მხრივ, მეურნეობაში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. მუშებში გაშლილია სოცშეჯიბრება და დამკვრელობა, ეწყობა საწარმოო თათბირები, უმვებენ კედლის გაზეთებს, ტარდება აგრონომიული ხასიათის საუბრები და სხვ.

საქართველოში წელს, ყველა სექტორების ხაზით, 1932-33 წლის ჩაის თესლის კამპანიის უზრუნველსაყოფად — უნდა **დამზადდეს 745.000** კილოგრამი ჩაის თესლი.

საჭიროა ამ გეგმის შესრულების ირგვლივ მჭიდროთ დავარზმოთ საბჭოთა მეურნეობის მუშები, კოლმეურნეობები და ინდივიდუალური ღარიბ-საშუალო გლეხთა მასები. თესლის დამზადების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხარისხს; აგროლონისძიებები ამ მხრივ მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული. **არ უნდა დაიკარგოს ჩაის თესლის არც ერთი კაკალი.**

ჩაის რაიონულმა ორგანიზაციებმა ჩაის თესლის დამზადებას უნდა გაუწიონ კონკრეტული, ცოცხალი ხელმძღვანელობა.

ᲣᲧᲐᲠᲘᲐ. კოლმეურნე-ქალი ამხ. ᲒᲔᲚᲐᲫᲔᲕᲐ რომელიც წარმატებით იბრძვის ბამბის აღების ფრონტზე

აგროდახმარების გაწევა ძალზე მოისუსტებს

ᲑᲐᲗᲝᲛᲘ, 14 ოქტ. საქ. კ. პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტმა თავის დადგენილებაში პარტიის ამ დირექტივების შესრულების შესახებ, რომლებიც ეხება ჩაის კულტურის განვითარებას, აღნიშნა, რომ ჩაის რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობის სამკუთხედებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს მუშაობაში ისეთ გარდატეხას, რომელიც უზრუნველჰყოფს საგეგმო დავალებათა შესრულებას.

საოლქო კომიტეტი აღნიშნავს, რომ **მეჩაიე კოლმეურნეებისათვის აგროდახმარების გაწევის საქმე ძალზე მოისუსტებს,** აგრეთვე რაიონული ორგანიზაციები დიდ უყურადღებობას იჩენენ საწარმოო საკოლმეურნეო ბრიგადების განმტკიცებისა და კოლმეურნეობებისა, და საბჭოთა მეურნეობებში აღრიცხვის და შრომის ორგანიზაციის ორგანიზაციის ორგანიზაცი

უზრუნველვყოთ უმაღლესი სასწავლებლები მტკიცე მარქსისტულ-ლენინური პროგრამებით

და მაღალხარისხოვან ლექტორთა კადრებით

ჩავებათ საკავშირო შეჯიბრებაში

(საქართველოს საალმშენებლო ინსტიტუტი)

საქ. საალმშენებლო ინსტიტუტი ჩაება საკავშირო კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტის მიერ გამოცხადებულ უმაღლეს სასწავლებლების საკავშირო შეჯიბრებაში.

ინსტიტუტმა მიიღო მოსკოვის ამხ. **მოლოტოვის** სახელობის ენერგეტიკული და ამხ. **ბაუმანის** სახელობის მექანიკურ-მანქანათმშენებლობის ინსტიტუტების პროფესორების და სტუდენტების გამოწვევა უმაღლეს სასწავლებლების მუშაობის გარდაქმნის შესახებ საბჭოთა კავშირის ცაკის 19 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე და თავის მხრით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია აზერბეიჯანის და სომხეთის საალმშენებლო ინსტიტუტები.

ინსტიტუტის პროფესორებმა, დოცენტებმა ასისტენტებმა და სტუდენტებმა აიღეს კონკრეტული ვალდებულებები, რომ საკავშირო ცაკის მი თითების საფუძველზე უმოკლეს ვადაში მიაღწევენ სწავლების და გამოშვებულ კადრების ხარისხის გაუმჯობესებას.

საჭიროა ის ვალდებულებები, რომლებიც აიღეს ინსტიტუტის, როგორც პედაგოგიურმა შემადგენლობამ, ისე სტუდენტებმა-გადაიჭცეს ინსტიტუტის მთელი მუშაობის საბრძოლო პროგრამად. თითეულმა პედაგოგმა, თითეულმა სტუდენტმა უნდა გაშალოს ბრძოლა აღებული ვალდებულებების რეალიზაციისათვის.

ნ.ნ—ლი.

სწავლა ჯერ არ დაწყებულა

(ნავთლუღი)

საქ. ხორცის მრეწველობის ტრესტის საქ. საფ. სკოლა სრულიად მოუმზადებელი შეხვდა ახალ სასწავლო წელს. სკოლაში ახალი სასწავლო წლისათვის არავითარი მოამზადებელი მუშაობა არ ჩატარებულა. შეუკეთებელია სკოლის, ბინა და ინვენტარი, არ არის საკმაო მასწავლებელთა კადრები, სკოლას არ აქვს საკმაო სამეცადინო ბინა, არ არის შედგენილი ზუსტი ცხრილი და სხვ. **ამის გამო სკოლაში სწავლა ჯერ კიდევ არ არის დაწყებული.**

ადგილი აქვს მოწაფეთა ცვალებადობას. 10 სექტემბრისათვის სკოლაში 160 მოწაფე ირიცხებოდა. დღეს კი ირიცხება მხოლოდ 132. ეს იმიტომ, რომ სკოლის ადმინისტრაციამ ვერ შესძლო მოწაფეების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, სკოლაში დისციპლინის განმტკიცება და რაც მთავარია სწავლის დაწყება.

სკოლის გამგის მოადგილე და სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი — **ბ. ესაკია**, იმის მაგიერ, რომ იზრუნოს სკოლის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მთელ დროს კინკლაობასა და მასწავლებლების დევნა-შეიწროვებას ანდომებს. ესაკიას „მოღვაწეობის“ შედეგად სკოლას თავი მიანებეს სპეციალურ საგნების საუკეთესო მასწავლებლებმა კელენჯერიძემ, ბილორავამ და ოდიშარიამ, რომლებიც გასულ სასწავლო წელში სკოლაში ენერგიულად მუშაობდნენ. ამიტომ **სკოლაში სპეციალური საგნების სწავლება შეწყვეტილია.** ადმინისტრაცია კი მასწავლებელთა კადრებით სკოლის გამაგრების დარგში ოპორტუნისტულ თვით მიმდინარეობაზეა დაყრდნობილი. სკოლას ამჟამად აკლია 6 პედაგოგი: არის მხოლოდ მათემათიკის და ქიმიის მასწავლებელი.

რაც შეეხება სკოლისათვის აუცილებელ სპეციალურ საგნებს, ისინი არც კი შეტანილი სასწავლო ცხრილში.

მეორე კურსის მოწაფეებს, რომლების გამოშვებაც უნდა მოხდეს 1933 წლის თებერვალში დღემდე არ გაუვლიათ არც ერთი სპეციალური საგანი. კიდევ მეტიც. აღნიშნულ კურსზე დღემდე არ ჩატარებულა არც ერთი გაკვეთილი.

ძალზე ცუდია მოწაფეთა მომარაგების საქმე; მოწაფეთა საერთო საცხოვრებელში გამეფებულია ანტისანიტარია. ერთ პატარა ოთახში მოთავსებულია 32 მოწაფე ქალი, სადაც ყოველად შეუძლებელი ხდება სანიტარული პირობების დაცვა. ცუდია მასწავლებელთა და მოწაფეთა დამოკიდებულება, ამ მდგომარეობას ხელოვნურად ქმნის **ბ. ესაკია, რომელიც** მოწაფეების წინააღმდეგ მიმართავს უხეშ ადმინისტრატიულ და ძველი სკოლის ხერხებს. მოწაფეთა სასადილოში თავის დროზე არ მზადდება სადილი. ამის გამო დგება რიგები და სრულიად უგემოდ იკარგება დრო. არავითარი ყურადღება არ ექცევა სადილის ხარისხის გაუმჯობესებას.

სკოლის ადმინისტრაციის განკარგულებით „შტატის შემცირების“ მიზნით სამუშაოდან მოხსნეს **საუკეთესო** მზარეული **შ. ჩხაიძის** ქალი, რომელიც ამავე დროს დამლაგებლადაც მუშაობდა. სამაგიეროთ კი მის ადგილზე მიიღეს სამი ქალი. გაუმჯობესებას მაგიერ ამის შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

სკოლის ბინაში ჩასახლებულია კერძო პირები. სკოლას კი საშეკადინოდ მხოლოდ სამი ოთახი აქვს დარჩენილი. უკანასკნელად ადმინისტრაციამ ერთი ოთახიც პრაქტიკაზე მოვლინებულ მოწაფეებს დაუთმო და ამჟამად მთელი სკ. საფ. სკოლა მოთავსებულია ორ ოთახში. ეს იმ დროს როდესაც სკოლას აქვს **საუკეთესო** ოთახები, რომელშიდაც კერძო პირებია ჩასახლებული. ადმინისტრაცია არ მიმართავს, გადამჭრელ ზომებს კერძო პირების სკოლის ბინიდან **გამოსახლებისათვის.**

მოუწესრიგებელია მოწაფეთა საწარმოო პრაქტიკა. საწარმოო პრაქტიკის გასავლელად მოწაფეები მიმგზავრებულნი არიან თბილისის სასაკლაოზე. სასაკლაოს ადმინისტრაცია პრაქტიკის გავლის მაგიერ მოწაფეებს შავ მუშებად იყენებს, არ ეწევა სათანადო დახმარება და კონტროლი საწარმოო პრაქტიკაზე მივლინებულ მოწაფეების მუშაობას.

სკოლაში ძალზე დაკემულია სასწავლო დისციპლინა. ამ მდგომარეობას ხელს უწყობს აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის და სასკოლო საბჭოს სუსტი მუშაობა.

აღსანიშნავია, **რომ** სკოლაში შექმნილი მდგომარეობის სალიკვიდაციოდ ადგილობრივმა პარტკომკავშირის ორგანიზაციამ ვერ გამოიჩინა სათანადო სიფხიზლე. უკანასკნელად პარტჯგუფმა გამოიტანა დადგენილება სასწავლო ნაწილის გამგე — ესაკიას და კულტმუშაკ — **ხვინგას** მოხსნის შესახებ. მაგრამ ეს დადგენილება დღემდე ხზო ლოდ ქაღალდზე დაწერილი არსებობს.

მდგომარეობის ასე გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია, სკოლა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მასწავლებელთა კადრებით. დაუყოვნებელივ ეხმა განვაცხადოთ ოდ სასწავლო დისციპლინა. მოწაფეთა საწარმოო პრაქტიკის მოწესრიგების და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმის ეხლავე უნდა მივაქციოს ყურადღება,

ლ. მენაგდე, ს. ლ—ი

დამუშავდა საკავშირო ცაკის დადგენილება

(პედინსტიტუტი)

1 ოქმომბერს შეესდგა საქ. სახ. პედინსტიტუტის სტუდენტთა, პროფესორთა და მასწავლებელთა საერთო კრება, სადაც საკავშირო ცაკის 19 სექტემბრის დადგენილების, უმაღლეს სკოლების და ტეხნიკუმების სასწავლო პროგრამისა და რეჟიმის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ამხ. **შ. სიხარულიძე.** მომხსენებელმა ფართოდ განუმარტა კრებას ყველა ის საკითხები, რომლებიც აღნიშნულია დადგენილებაში. როგორიც არის ბრძოლა სტუდენტთა აკადემიურ მომზადების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. გასულ სასწავლო წელში ლაბორატორიულ ბრიგადულ მეთოდით მუშაობის უარყოფითი მხარეები, სტუდენტთა მომზადების დაბალი ხარისხი, საწარმოო პრაქტიკის მოუწესრიგებლობა და სხვ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: **ამხ. ცინცაძემ, ჩაჩანიძემ, პროფ. შ. ნუცუბიძემ. პროფ. კ. კეკელიძემ, პროფ. გ. ახვლედიანმა** და სხვ. ისინი მთელ რიგ სხვა საკითხთა შორის განსაკუთრებით ამახვილებდნენ ყურადღებას სწავლების მეთოდების და საწარმოო პრაქტიკის მოწესრიგებისაკენ, პროფესორის როლის ამაღლებისაკენ ჩატარებული მუშაობის აღრიცხვისა და შემოწმებისაკენ. და სხვ.

პედინსტიტუტის სტუდენტთა, პროფესორთა და მასწავლებელთა საერთო კრებამ მიიღო მოსკოვის ამხ. **მოლოტოვის** სახელობის ენერგეტიული და ამხ. **შაუმიანის** სახელობის ტეხნიკურ-სამანქანათმშენებლო ინსტიტუტის გამოწვევა საკავშირო ცაკის 19 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის უკეთესად გარდაქმნისათვის და თავის მხრით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლები.

დ. ბრეგაძე.

სახელმწიფო

16 ოქტ. 7 ა.ბ. 2 წ. — თავადი იგორი
17 ოქტ. 9 ა.ბ. 2 წ. — ვ ე ფ ი ა რუსთაველი
18 ოქტ. 11 ა.ბ. 2 წ — ტრავიატა

გორელოვის პირვ. გამოსვლა თავად იგორში

აბონენტებს საყურადღებოდ: აბონემენტების მესამე მორიგი შესატანი მიიღება ყოველდღე 11 დან 2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე აბონენტები, რომელნიც მესამე შესატანს **არ** გადაიხდიან თავიანთი წარმოდგენის დღის 2 საათამდე, წარმოდგენაზე არ იქნებიან დაშვებული და მათი ადგილები გაიყიდება ჩვეულებრივი წესით. ნ. 258

სახელმწიფო დრამა

ხ. ს. ს. რ. სახალხო არტისტი

კოტე მარჯანიშვილის სელმძღვანელობით

სეზონი 1932—33 წ.

სეზონის გახსნა 22 ოქტომბერს

22 ოქტ.—**მუნჯები ალაპარაკდენ**—აბონ. გარეშე.
23 „ —**ყვარყვარე თუთაბერი**—9 აბონ. 1 წარმ.
24 „ —**ჭოკლა, ჩვენ ვცოცხლობთ**—8 აბ. 1 წარ.
26 „ —**კაკალ გულში**—5 აბ. 1 წარ.
27 „ —**ურიელ აკოსტა**—აბონ. გარ.

ბორიგი პრემიერა: **უ. შექსპირი**—თარგ. ი. მაჩაბლის

ოტელო

(თავარ როლებში:

ოტელო—**შ. ლამბაშიძე**
იაგო—**უშანგი ჩხეიძე**
ბრაბანციო—**ნიკო გოცირიძე** (რეს. სახ. არტ.)
ალ. **ეორეოლიანი**
როდერიგო—**ვ. გოძიაშვილი**
კასიო—**გ. შავგულიძე**
დეზდემონა—**ნუნუ მაჭავარიანი**
ემილია—**ო. ჭავჭავაძე**
ბიანკა—**ს. თაყაიშვილი**
ფ. **ჩანტერია.**

5—3 **აბონემენტები იყიდება.** ნ. 253

რუსთაველის თეატრი

სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით.

სეზონი 1932—33 წ.

3. **კირშონი პრემიერა, 17 ოქტომბერს**

ქართა ქალაქი

თარგმ. **ს. შანშიაშვილის** და **ალ. ბოკერიასი.** დას. 8 ს.

2-1 მე-2 ხარის შემდეგ დარბაზში არავინ შეიშვება ნ. 260

სასტუმრო

ყოველდღე გასტროლები

10 ოკეანოს | 4 ოტონერი | ფრედი
ელ. გაიერ | კ. ბესკოროვაინა
ძმები ვოვორიაშჩიეები

18 ოქტომბერს დღის დიდი წარმოდგენა.

ციმბირი — **ოქტომბერი** (უ.-ამოლო) 6-30, 8-30, 10-30.

ახალი ხმოვანი ფილმი — **მზად ვიყვეთ** — პროგ. გარეშე ტემპები ხწყვეტენ

დამკვრელი (სახზფხ.) (უოფ. ბალახი) დასაწყ. 7-45, 9-15, 10-45.

ზოროს შვილი — დუგლას ფერბენკსის მონაწილეობით

დამკვრელი ზამორის 6, 7-30, 9, 10-30

კარმენ ბონი კომედიაში — **სანაძლეო ძოწრწინება**

კინო დარბაზი დას. 6-30, 8, 9-30, 11 ს.

ახალი ეგზემპლიარი სურათის — **ზ ე ლ ი მ-ხ ა ნ ი** — ბესტაევის და სანოიის მონაწ

დარბაზი საზაფხ. 7—30, 9, 10—30.

მხატვრული ფილმი — **სევილი** — რეჟისორი—ა. ბეკ-ნაზაროვი.

ე თ ე რ ი ს ა ზ. დასაწყ. 7-30, 9, 10-30.

მხატვრული ფილმი — **საჯარო საფლავი** — „წითელ ემბაკუნები“-ს ბაჯოელება. რეჟისორი ბ. პერსტანი.

რ. ლიუძსემბურ. სახ კინო (უოფ. მინინონი) დასაწყ. 8. 9-30, 11.

გოროლდ ლოიდ კომედიაში — **მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი** — პროგ. გარეშე დიდი მზე

საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-ვეტერინალური ინსტიტუტის დირექცია

აცხადებს

მე ი დ ი ნ ა რ ე 1932-33 სასოფლოსაკლო წელში

ინსტიტუტში მიიღება 25 ასპირანტი

1. ყველა მისაღებ პირს დაენიშნება გამოცდები შემდეგი საგნებში ა) პოლიტ-ეკონომია ბ) დიამატი, გ) რუსული ენა, დ) ბიოლოგია და ზოგადი ზოოტექნია (საგამოცდო პროგრამების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში)

2. თვითეული მსურველი ვალდებულია წარმოადგინოს დასასრულთა ექთედრიდ ხელმძღვანელისაგან, მისი ასპირანტად დატოვების შესახებ.

3. ასპირანტებად ჩაირიცხებიან მხოლოდ ის პირნი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ზოოტექნიკური ფაკულტეტი, ან და ყოფ. სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი

4. ასპირანტების მომზადებისათვის პროფილი და განხრები გამოცხადდება დამატებით.

თვითეული ასპირანტი უზრუნველყოფილი იქნება სტიპენდიით მავრობის მიერ შემუშავებული ნორმის მიხედვით.

მსურველი ვალდებულია განცხადებასთან ერთად წარმოადგინოს სამხედრო ბეგარასთან დანოკიდებულებისა და ჯანმრთელობის მოწმობა.

განცხადებების მიღების უკანასკნელი ვადა დანიშნულია 23 ოქტომბერი 1932 წლისა. მეცადინეობა დაიწყება ა/წ 1-ლ ნოემბერს.

(განცხადებები მიიღება ინსტიტუტის კანცელარიაში: ქ. თბილისი ვაკე, საქ სახ. ზოოტეხ.-ვეტ. ინსტიტუტის).

დირექტორი **ს. თ ო ნ ა ძ ე.**

1390 ასპირანტის ხელმძღვანელი **ვ. კ ო ბ ა ხ ი ძ ე.**

„26“ კომუნარების სახელობის რაიფინგანის რეალიზაციის ინსპექტორი

აცხადებს, რომ 1932 წ. **17 ოქტომბერს** დანიშნულია ადგილობრივ დილის 9 საათ.—12 საათ.

საჯარო ვაჭრობა

სადაც გაიყიდება მოქ. რუბეი და გიორგი დივანოვების სახლები, მდებარე რიყის ქ. № 18—3000 მან., მეტეხის აღმ. № 12—2000 მ, და მეტეხის ქ. № 30—4000 მან და მოქ. ვალი და სეიფადინ ოჯაბვერდოვების სახლები მდებარე სურუ-სარეისის ქ. № 46, მათზე რიცხული სახელმწიფო დავალიანების ასანაზღაურებლათ.

სახლის მეპატრონენი იქნებიან გამოსახლებული თანახმად არსებულ კანონისა.

273 **რეალიზაციის ინსპექტორი.**

„ს ა ქ ს ა თ გ ო ბ ი“

**ცენტრალურ-ეკონომიკურ ორგანოებს, ეკონომიკურ ორგანიზაციებს, ინსტიტუტებს, ტექნიკუმებს, ფაბრიკა-ქარხნებს, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს, ინტელიგენტებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, ექიმებს, ექთნებს, ბებიაქალებს, ფელდშერებს, ბიბლიოთეკარებს, ბიბლიოგრაფებს, ბიბლიოთეკებს, ინსტიტუტებს, ბიბლიოთეკებს, ინსტიტუტებს, ბიბლიოთეკებს, ინსტიტუტ